ს(ს)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში (ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა) (ასისტენტის) სამსახურში მისაღებად რექტორის 2022 წლის 10 ივნისის N175/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 24 ივნისის N50/2022 დადგენილების საფუძველზე

დამტკიცებული კომისიის სხდომის

№3 ოქმი (შემაჯამებელი)

ქ. თბილისი "22" ივლისი 2022წ.

17.00 საათი, თსუ I კორპუსი, აუდიტორია №202

ორივე სხდომას ესწრებოდა კომისიის 3 წევრი: პროფესორი გიორგი ალიბეგაშვილი, ასოც. პროფესორი რუსუდან ნიშნიანიძე, ასოც. პროფესორი ეკატერინე ნავროზაშვილი.

დღის წესრიგი:

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე, ასისტენტის სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, გიორგი ალიბეგაშვილის, ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების შეფასების ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და კენჭისყრის

შედეგების შესახებ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპი და ფარული კენჭისყრის შედეგები.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე **ქართული ლიტერატურის ისტორიის** სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის, **ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე,** ასისტენტის 1 საკონკურსო თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა 3-მა კონკურსანტმა – ნათია ჯანგულაშვილმა, ციური გვენეტაძემ და ზვიად მურადაშვილმა.

ნათია ჯანგულაშვილის შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია ფორმალურად შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო დაბალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიაში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება (იხ. ოქმი №1).

ციური გვენეტაძის შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია ფორმალურად შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო დაბალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიაში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება (იხ. ოქმი №1).

ზვიად მურადაშვილის შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო საშუალო შეფასება; IV კატეგორიაში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება (იხ. ოქმი №1).

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ პრეტენდენტებს, **ნათია ჯანგულაშვილის, ციური გვენეტაძისა და ზვიად მურადაშვილის,** დაუსვა შეკითხვები და შეაფასა პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა.

გასაუბრების შედეგად კომისიამ იმსჯელა სამევე პრედენდენტის, ნათია ჯანგულაშვილის, ციური გვენეტაძისა და ზვიად მურადაშვილის, პასუხებზე, გაანალიზა მათი ძლიერი და სუსტი მხარეები და დადასტურდა, რომ მათგან პრეტენდენტის, ზვიად მურადაშვილის, კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან (იხ. ოქმი №2, ოქმის დანართი). გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (3 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე) დაუჭირა მხარი ზვიად მურადაშვილის კანდიდატურას.

დაადგინეს: ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში, **ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა,** ასისტენტის 1 ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა: **ზვიად მურადაშვილი.**

კომისიის თავმჯდომარე:

წევრი:

კომისიის მდივანი:

თარიღი: 22.07.2022